N 41
18/02/2020

41-1-4-202002181651

# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

შემსყიდველი: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის, მარინა ონიანის სახით.

მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა–ფშაველას გამზირი №16.

საიდენტიფიკაციო კოდი: №249250466

საბანკო რეკვიზიტები: 300919921. სახელმწიფო ხაზინა, აფხაზეთის

ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

მიმწოდებელი: შპს ,,ავერსის კლინიკა“, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის დიმიტრი ჯორბენაძის სახით.

მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.#27ბ

საიდენტიფიკაციო კოდი : 212002580

საბანკო რეკვიზიტები:

სს საქართველოს ბანკი,BAGAGE22,GE05BG0000000170821600

იმის გათვალისწინებით, რომ „შემსყიდველმა“ ჩაატარა ელექტრონული ტენდერი “აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებ მოქალაქეთა ამბულატორიული დახმარების პროგრამის” ინსტრუმენტული გამოკვლევების კომპონენტის მომსახურების სახელმწიფო

შესყიდვაზე (NAT200002367), რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა „მიმწოდებლის“ სატენდერო წინადადება, მხარეები შევთანხმდით შემდეგზე:

## 1. ტერმინთა განმარტებები

„ხელშეკრულებაში“ გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) – „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის დადებული „ხელშეკრულება“, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში მინიშნებებია;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - თანხა, რომლის გადახდის ვალდებულება ეკისრება „შემსყიდველს“ „მიმწოდებლის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის;

1.3. „დღე,“ „კვირა,“ „თვე“ - სამუშაო დღე, კვირა, თვე;

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს „მომსახურების“ მიწოდებას „ხელშკრულების“ პირობების შესაბამისად;

1.6. „მხარეები“ – „შემსყიდველი“, რომელიც ახორციელებს შესყიდვას და „მიმწოდებელი“, რომელიც ახორციელებს „მომსახურების” მიწოდებას, „ხელშეკრულების“ პირობების გათვალისწინებით;

1.7. „მომსახურება“ – „ხელშეკრულების“ მე-2 მუხლით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი;

1.8. „ტექნიკური დოკუმენტაცია“ – „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია და ფასების ცხრილი, რომელიც შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, წარმოადგენს „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს და რომლის ნამდვილობაზეც პასუხს აგებს „მიმწოდებელი“ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

1.9. „ინსპექტირება“ – „ხელშეკრულების“ პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

## 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია ,,აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებ მოქალაქეთა ამბულატორიული დახმარების პროგრამის” ინსტრუმენტული გამოკვლევების კომპონენტის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა ელექტრონული ტენდერის (CPV85100000, NAT200002367) საშუალებით.

**3. ხელშეკრულების ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების“ ღირებულება, თანდართული ხარჯთაღრიცხვის (დანართი 1) შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, შეადგენს 20 800 (ოცი ათას რვაას) ლარს.

3.2. „ხელშეკრულების“ ღირებულება მოიცავს „მიმწოდებლის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებულ „მიმოწოდებლის“ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

**4. მომსახურების მოწოდების პირობები:**

4.1. მომსახურების მიწოდების ვადა:

„მომსახურების” მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

4.1.1. „მიმწოდებელმა“ უნდა უზრუნველყოს ინსტრუმენტული გამოკვლევების კომპონენტის ჯამური 398 ეპიზოდის მომსახურება, მათ შორის:

1) თავის ტვინის სისხლძარღვთა (ინტრა - და ექსტრაკრანიალური) დოპლეროგრაფია - 80 ეპიზოდი;

2) ორივე ქვედა კიდურის სისხლძარღვთა დოპლეროგრაფია - 90 ეპიზოდი;

3) ელექტროენცეფალოგრაფია - 20 ეპიზოდი;

4) ციფრული რენტგენოგრაფია - 80 ეპიზოდი;

5) ართროექოსკოპია - 48 ეპიზოდი;

6) ულტრაბგერითი დენსიტომეტრია - 40 ეპიზოდი;

7) აუდიოგრამა - 40 ეპიზოდი.

ბენეფიციარებისთვის გაწეული მომსახურება უნდა იყოს, უსაფრთხო, ხარისხიანი, დროული.

4.1.2. მომსახურების მიწოდება ,,მიმწოდებლის“ მიერ განხორციელდება ეტაპობრივად, „შემსყიდველის“ მიერ გაცემული და ,,მიმწოდებლის“ ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე ელექტრონულად გადაგზავნილი საგარანტიო წერილის საფუძველზე

4.2. მომსახურების მიწოდების ადგილი:

4.2.1. მომსახურების მიწოდების ადგილად განსაზღვრულია ქალაქი თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი #27ბ.

4.2.2. მომსახურების გაწევის ადგილის მისამართის ცვლილების შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ წერილობით წინასწარ (ერთი კვირით ადრე) აცნობებს „შემსყიდველს“ ახალ მისამართს, რაზეც გაფორმდება შესაბამისი წერილობითი შეთანხმება.

**5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. შესყიდვის ობიექტის/მომსახურების მიღება–ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებელის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებით (ხელშეკრულების დანართი N2-ით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად).

5.2. „შემსყიდველის" მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სამინისტროს მიერ გამოყოფილი პროგრამის კოორდინატორი (მისი არყოფნისას - თანაკოორდინატორი).

**6. ანგარიშსწორება**

6.1. „მომსახურების" ღირებულების ანაზღაურება მოხდება ეტაპობრივად, უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ მოხდება „მომსახურების" მიწოდების თაობაზე მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებიდან და „მიმწოდებლის" მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.3. მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებასთან ერთად, „მიმწოდებელი" ვალდებულია წარუდგინოს „შემსყიდველს" საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, „შემსყიდველს" უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6.4. საგარანტიო წერილის ვადის გასვლის შემდგომ ,,მიმწოდებლის" მიერ გაწეული მომსახურება არ ანაზღურდება.

**7. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები**

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს ,,შემსყიდველისათვის" უსაფრთხო, დროული და ხარისხიანი „მომსახურების" მიწოდება;

7.1.2. დაუყოვნებლივ, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს „შემსყიდველის" მიერ ინსპექტირების/მონიტორინგის დროს მოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღმოფხვრა.

7.1.3. დროულად განიხილოს და გადაჭრას „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.1.4. „ხელშეკრულების" გაფორმების შემდეგ „მიმწოდებელს" არ აქვს უფლება „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებები განახორციელოს ქვეკონტრაქტორის მეშვეობით „შემსყიდველის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, ამასთანავე, „მიმწოდებელს" უფლება არ აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ, „შემსყიდველის" წერილობითი თანხმობის გარეშე, გადასცეს მესამე პირს „ხელშეკრულებით" მისთვის მინიჭებული უფლება–მოვალეობანი.

7.1.5. აპარატურის/მოწყობილობის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში „მიმწოდებელი“ ვალდებულია დაუყოვნებლივ, წერილობით აცნობოს აღნიშნულის თაობაზე „შემსყიდველს“ ხელშეკრულების გაგრძელების მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით.

7.1.7. მიმწოდებელმა შესრულებული მომსახურების შესახებ დოკუმენტაცია უნდა წარადგინოს ყოველი თვის 25 რიცხვამდე, ხოლო დეკემბერში - 22 რიცხვამდე.

7.1.8. ზედმიწევნით და განუხრელად დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან” ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

7.3. მხარეთა უფლებები

7.3.1. „მიმწოდებელს” უფლება აქვს:

7.3.2. „ხელშეკრულების“ ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

7.3.3. „შემსყიდველს” უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები, რაც უკავშირდება „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ მომსახურებას (მათ შორის, გამოითხოვოს ჩატარებული გამოკვლევის დასკვნის ასლი, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით).

ბ) ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი” ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყვეტილად ითვლება, აღნიშნულის შესახებ მიმწოდებლისადმი გაგზავნილ წერილობით შეტყობინებაში მითითებული ვადიდან.

## 8. ხელშეკრულების ინსპექტირება

8.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდებლის“ მიერ „ხელშეკრულების“ შესრულების კონტროლი, რასაც ჩაატარებს პროგრამის კოორდინატორი ან თანაკოორდინატორი.

8.2. საკონტროლო ინსპექტირების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო საბუთის წარდგენა და საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა ეკისრება „მიმწოდებელს“.

## 9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ

ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2. ამ ხელშეკრულებაში „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული “შემსყიდველისა” და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რასაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი (ომი, სტიქიური მოვლენები, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება და სხვა).

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს,

იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს “შემსყიდველი” არ არის ვალდებული წარუდგინოს “მიმწოდებელს” რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10% -ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. შეთანხმებული გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/ და შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში

„მხარეებს“ ეკისრება „პირგასამტეხლო“ შეუსრულებელი ვალდებულების 0.02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით.

12.2. „პირგასამტეხლოს“ გადახდა უნდა განხორციელდეს „მხარის“ მიერ მეორე „მხარისადმი“ გაგზავნილ შესაბამის წერილში მითითებული ვადიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში.

12.3. საჯარიმო სანქციების გადახდა „მხარეებს“ არ ათავისუფლებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.4. იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებელზე“ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს „ხელშეკრულების“ ღირებულების 10%-ს, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შეწყვიტოს „ხელშეკრულება“ და მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ შესაბამისი პირგასამტეხლოს გადახდა.

**13. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

13.1. „შემსყიდველმა” და „მიმწოდებელმა” ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში „შემსყიდველი” და „მიმწოდებელი” ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება წყდება ხელშეკრულების ვადის გასვლის, ხელშეკრულების პირობების შესრულების, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2. ხელშეკრულება შეიძლება ცალმხრივად შეწყდეს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში.

14.3. „შემსყიდველი” უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.4. „ხელშეკრულების“ ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს” ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების შესრულება

„ხელშეკრულება“ შესრულებულად ჩაითვლება „შემსყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული პირობების შესრულების შემდეგ.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე „ხელშეკრულება“ ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

16.2. „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადა განისაზღვრება 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

17. სხვა პირობები, დასკვნითი დებულებები

17.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

17.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

17.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

17.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ., თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

17.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

17.6. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად, რომლებიც ინახება მხარეებთან და თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ერთი - „შემსყიდველთან“.

**ხელშეკრულების დანართი 1**

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ოკუპირებულიაფხაზეთის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებ მოქალაქეთა ამბულატორიული დახმარების პროგრამის ინსტრუმენტული გამოკვლევების კომპონენტის ხარჯთაღრიცხვა:

| № | **კომპონენტი** | **რაოდენობა / ეპიზოდი** | **ერთეულის ფასი (ლარი)** | **ბიუჯეტი (ლარი)** |
|---|---|---|---|---|
| 1 | თავის ტვინის სისხლძარღვთა ინტრა-და ექსტრაკრანიალური დოპლეროგრაფია | 80 | 60.00 | 4,800.00 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2 | ორივე ქვედა კიდურის სისხლძარღვთა დოპლეროგრაფია | 90 | 70.00 | 6,300.00 |
| 3 | ელექტროენცეფალოგრაფია | 20 | 65.00 | 1,300.00 |
| 4 | ციფრული რენტგენოგრაფია | 80 | 50.00 | 4,000.00 |
| 5 | ართროექოსკოპია | 48 | 50.00 | 2,400.00 |
| 6 | ულტრაბგერითი დენსიტომეტრია | 40 | 25.00 | 1,000.00 |
| 7 | აუდიოგრამა | 40 | 25.00 | 1,000.00 |
| | **სულ:** | 398 | | 20,800.00 |

ხელშეკრულების დანართი

**2**

მომსახურების

მიღება–ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი, „-------“---------- 2020წ.

წინამდებარე აქტი შედგენილია მასზედ, რომ, 2020 წლის __ ---------- N ___

ხელშეკრულების საფუძველზე, „მიმწოდებელმა“ განახორციელა

----- ---------- ლარის მომსახურების მიწოდება.

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

დანართი: შესრულებული სამუშაოს ამსახველი დოკუმენტაცია ... ფურცელზე. აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერით:

**შემსყიდველი** **მიმწოდებელი**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

სამინისტროს პროგრამის

კოორდინატორი/თანაკოორდინატორი

----------ბ.ა. ----------ბ.ა.

**18. მხარეთა რეკვიზიტები:**

„მიმწოდებელი“

შპს ,,ავერსის კლინიკა“

გენერალური დირექტორი

დიმიტრი ჯორბენაძე

LLC Aversi Clinic

Digitally signed by LLC Aversi Clinic
Date: 2020.02.21 15:09:22 +04'00'

**„შემსყიდველი“**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკი

ჯანმრთელობისა და სოციალური

დაცვის სამინისტრო

მარინა ონიანი

მარინა ონიანი

მინისტრის მოადგილე
ხელმძღვანელობა